

ADVERBS OF TIME IN SHIDA KARTLIAN

დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში

MARIAM KOBERIDZE

Doctor of Philology
 Professor of Gori State University
 ORCID:0000-0002-6604-1628
maikoberidze@gmail.com
 + 99577251275

Abstract

The aim of this article is to study the adverbs of time in Shida Kartlian. The research is based on the latest material we have collected in the villages of Didi and Patara Liakhvi, Prone, Dzama, Kavtura, Tedzma and Ateni valleys. Dialectic texts written by Georgian linguists at different times are analyzed to represent linguistic processes chronologically distant in time and space.

The production, structure and function of adverbs of time in the Shida Kartlian speech are similar to the Georgian literary language, and different cases indicate the processes that are significant for the Kartlian dialect. Here we find the adverbs of time formed by primary or own production, with a case form (with a case mark or postposition), composing-composition and attachment of particles.

The adverbs of time with the Nominative case mark confirmed in the speech of the village of Tsitelubani in Gori Municipality indicate to the cases of switching the speech codes of Kartlian and Adjarian.

The adverbs of time are preserved in an archaic form: **Aknamdi // Aknandi, Iknamdi // Iknandi, Aknobamdi//Aknobamde, Aknobamdin//Aknobamdis**. We find the peculiar production adverb "chamodagma" in the meaning of the time adverb "after". Some adverbs of place (**arsad, versad, agarsad, vegarsad/nowhere, sadme/anywhere...**) are used to denote the adverbs of time (**rodesme/ever, arasodes/never, agarasodes/never, verasodes/never, rodisme/ever**).

For adverbs of time with –a and –i extending vowels are characterized accentuation. These vowels are often exchanged freely and represent the same amount in the adverbs of time ending with -t (tsinata-tsinati/ago, dilita-diliti/in the morning), in some cases their use must be explained by analogy and tendency of unification.

Some adverbs of time show the Genitive and Dative forms simultaneously: **gogoobisas/during girlhood, bavshvobisas/during childhood**.

Some postpositions or adverbs in Shida Kartlian manage the Dative case instead of Genitive: **Orsaats ukan**(←ori saats ukan)/two hours back; **amastsin** (= amistsin)/before that; **dgestvina** (←dgistvina)/for the day.

The adverb of time in Dative often added adverbs „**aket// aketi// aketia**“: dilas aketi/since morning, sagamaos aketi/since evening, gushin aketi/since yesterday. We often found repetition of the adverbs of time in the sentence to express the nuances of the multiplicity of the verb-predicate.

For example: **dges** utkhra/said **today**, **khvalutkhra**/said **the next day**, **zegutkhra**/said **the day after next day**.

Although Shida Kartli is not ethnically monotonous, the linguistic changes caused by contact with other linguistic units are not confirmed. Linguistic events are documented by locally obtained material, usually accompanied by the name of the village where this or that linguistic event or expression is recorded, but this does not mean that area of its use is limited by only a verified village. The scientific paper is important for the study of Georgian dialectology, lexicology and the history of the Georgian language.

Key words: Georgian literary language, Dialect, Shida Kartlian, Adverb of time, Production, Structure, Extending vowel.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ORCID:0000-0002-6604-1628

maikoberidze@gmail.com

+ 99577251275

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია დროის აღმნიშვნელი ზმნისართების შესწავლა შიდაქართლურში. კვლევა ემყარება დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ძამას, კავთურას, თემისა და ატენის ხეობის სოფლებში ჩვენ მიერ შეკრებილ უახლეს მასალას. ქრონოლოგიურად დროსა და სივრცეში დაშორებული ენობრივი პროცესების წარმოსაჩენად გაანალიზებულია ქართველ ენათმეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი დიალექტური ტექსტები.

შიდაქართლურ მეტყველებაში დროის აღმნიშვნელი ზმნისართების წარმოება, სტრუქტურა და ფუნქცია მსგავსია ქართული სალიტერატურო ენისა, ხოლო განსხვავებული შემთხვევები მიუთითებს იმ პროცესებზე, რომელიც ქართლური დიალექტისათვის არის ნიშანდობლივი. აქ გვხვდება პირველადი ან საკუთარი წარმოების, ბრუნვის ფორმით (ბრუნვის ნიშნით ან თანდებულთ), თხზვა-კომპოზიციითა და ნაწილაკების დართვით წარმოქმნილი დროის ზმნისართები.

ქართლურისა და აჭარულის სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევებზე მიუთითებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში დადასტურებული სახელობითი ბრუნვის ნიშნიანი დროის გამომხატველი ზმნისართები.

არქაული ფორმითაა შემონახული დროის ზმნისართები: **აქნამდი//აქნანდი, იქნამდი//იქნანდი, აქნობამდი//აქნობამდე, აქნობამდინ//აქნობამდის**. „შემდეგ“ დროის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება თავისებური წარმოების ზმნისართი „**ჩამოდაღმა**“. ზოგი ადგილის ზმნისართი (**არსად, ვერსად, აღარსად, ველარსად, სადმე..**) იხმარება **დროის ზმნისართების (როდესმე, არასოდეს, აღარასოდეს, ვერასოდეს, როდისმე...)** აღმნიშვნელად.

-ა და - ი მავრცობიანი დროის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია აქცენტირება. ეს ხმოვნები თ-ზე დაბოლოებულ დროის ზმნისართებში ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან და ერთნაირ ოდენობას წაროადგენენ (**წინათა-წინათი, დილითა-დილითი**), ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას.

ზოგი დროის ზმნისართი ერთდროულად გვიჩვენებს ნათესაობითისა და მიცემითის ფორმებს: **გოგობისას, ბავშობისას**. ზოგიერთი თანდებული ან ზმნისართი შიდაქართლურში მართავს მიცემით ბრუნვას ნათესაობითის ნაცვლად : **ორ საათს უკან** (← ორი საათის უკან) ; **ამას წინ** (=ამის წინ) ; **დღესთვინა** (←დღისთვინ) .

მიცემითში დასმულ დროის ზმნისართს ხშირად დაერთვის „**აქეთ//აქეთი//აქეთია**“ ზმნისართი: **დილას აქეთი, საღამოს აქეთია, გუშინ აქეთია**.

ზმნა-შემასმენლის მრავალგზისობის ნიუანსის გამოსახატავად ხშირად გვხვდება დროის ზმნისართების გამეორება წინადადებაში. მაგ.: **დღეს უთხრა, ხვალ უთხრა, ზეგ უთხრა**.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი ეთნიკურად არ არის ერთფეროვანი, არ დასტურდება სხვა ენობრივ ერთეულებთან კონტაქტით გამოწვეული ენობრივი ცვლილებები. ენობრივი მოვლენები დოკუმენტირებულია ადგილზე მოპოვებული მასალით,

რომელსაც ჩვეულებრივ ახლავს სოფლის დასახელება, სადაც ესა თუ ის ენობრივი მოვლენა, ან გამოთქმა ჩაწერილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ხმარების არე მხოლოდ დამოწმებული სოფლით შემოიფარგლება. სამეცნიერო ნაშრომი მნიშვნელოვანია ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის.

საკვანძო სიტყვები: ქართული სალიტერატურო ენა, დიალექტი, შიდაქართლური, დროის ზმნისართი, წარმოება, სტრუქტურა, მავრცობი ხმოვანი.

შესავალი

ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია ქართული ენის დიალექტებში მიმდინარე ენობრივი პროცესების შესწავლა. ქართლურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები თითქმის ყველა კუთხის მეტყველებას ახასიათებს. მათ შორის არის შიდაქართლური (ცენტრალური ქართლური) კილოკავი, რომელიც მოიცავს ქარელის, გორის, კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მეტყველებას. დიალექტური მეტყველების გავრცელების ეს არეალი არ ემთხვევა შიდა ქართლის ადმინისტრაციულ დაყოფას (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი). ხაშურის მეტყველება დასავლურ ქართლურს მიეკუთვნება, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტი არ შედის შიდა ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში. ქართლურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი მოვლენები დადასტურებულია ამ რეგიონში, თუმცა მეტყველების თავისებურებები შეინიშნება ხეობებისა და სოფლების მიხედვით, რაც განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით. აქ მიმდინარე პროცესები არაერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი (კახაძე, 1953: 272; ნოზაძე, 1970: 338; იმნაიშვილი, 1974 ა: 16; ღლონტი, 1980: 218-222 სომხიშვილი, 2002: 3; კობერიძე, 2006: 175; 2015: 25; 2020: 82).

წინამდებარე სტატიაში დროის ზმნისართების კვლევა ემყარება დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ძამას, კავთურას, თემძისა და ატენის ხეობებში ჩვენ მიერ სოფელ-სოფელ მოპოვებულ უახლეს მასალას. საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა გაანალიზებულია ქრონოლოგიურად და შედარებულია ქართველ ენათმეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებთან, გამოვლენილია საერთო და განსხვავებულ ენობრივი მოვლენები ქართულ სალიტერატურო ენასთან, ქართლურის სხვა კილოკავებსა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებით. აღსანიშნავია პარალელური ფორმების არსებობა, სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები, -ა და -ი მავრცობი ხმოვნების აქტიურად გამოყენება და მნიშვნელობის გადაწევის შემთხვევები.

მეთოდი

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, ხოლო ემპირიული მასალის ჩაწერისას - უშუალო დაკვირვების მეთოდი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებული იქნა დიაქრონიული და სინქრონიული ანალიზი: ენობრივი მოვლენების დაყოფა ქრონოლოგიურად და დღევანდელობასთან მიმართებაში შეფასება საბოლოო შედეგის მისაღებად.

შედეგები

1. განხილულია დროის აღმნიშვნელი ზმნისართების წარმოება, ფუნქცია და სტრუქტურა შიდაქართლურში. 2. შესწავლილია ქრონოლოგიურად დღევანდელობასთან მიმართებით დროსა და სივრცეში დაშორებული დიალექტური მასალა. 3. გაანალიზებულია: ა) დროის

ზმნისართები, რომლებსაც არა აქვთ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა, ან კიდევ საკუთარი წარმოებისა. ბ) მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმიანი (უთანდებულო, თანდებულიანი, ნაწილაკიანი) ზმნისართები. გ) ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით წარმოქმნილი ზმნისართები. 3. წარმოჩენილია სახელობით ბრუნვისნიშნისანი დროის ზმნისართები, სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები, ზოგი ზმნისართის მნიშვნელობის გადაწევის ფაქტები. 4. დამბენილია მსგავსი და განსხვავებული ფორმები ქართულ სალიტერატურო ენასთან, ქართლურის სხვა კილოკავებსა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებით.

მსჯელობა

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნისართის წარმოების, სტრუქტურის, ფუნქციისა და კვალიფიკაციის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომია წარმოდგენილი. ზმნისართი სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი: ზურაბ შანშოვანი მას „**ზმართულს**“ უწოდებს (შანშოვანი, 1737:68); გოდერძი ფირალოვი, ანტონი, გაიოზ რექტორი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, არისტოფანე ქუთათელაძე, ანდრია ბენაშვილი, თედო ჟორდანი, მოსე ჯანაშვილი - „**ზმნის ზედას**“ (ფირალოვი, 1820: 85; ანტონი, 1885:207; რექტორი, 1970:134; დოდაშვილი, 1830:53; იოსელიანი, 1840: 75; ყიფიანი, 1882:125; ქუთათელაძე, 1894:124; ჟორდანი, 1889:155; ბენაშვილი, 1894:6; ჯანაშვილი, 1906:124); პავლე კვიციანიძე - „**ზმნიზედს**“ (კვიციანიძე, 1988: 61); აკაკი შანიძე - „**ზმნიზედას**“ (შანიძე, 1980:587); მელიტონ კელენჯერიძე - „**ზმნისართს**“ (კელენჯერიძე, 1920:98); სილოვან ხუნდაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, დავით კარიჭაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ილია სიხარულიძე, გიორგი შალამბერიძე - „**ზმნისართს**“ (ხუნდაძე, 1915: 14; ნიკოლაიშვილი, 1929: 101; კარიჭაშვილი, 1930:121-122; ჩიქობავა, 1952:261; სიხარულიძე, 1935:120; შალამბერიძე, 1959:5). ყველა ამ შემთხვევაში სახელდების ერთი პრინციპია გატარებული: ზმნიზედა (resp. ზმნისართი) დაერთვის (resp. „ზედ დაედება“) ზმნას; ამდენად, ამ ტერმინთაგან პრინციპული უპირატესობის მინიჭება, რომელიმე ერთისათვის არ ჩანს მიზანშეწონილი (გაბუნია, 1993: 9).

ა. შანიძის განმარტებით, „ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმა-უცვალელებელ სიტყვას, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა, ან სივრცეში, ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა ზომით ხდება იგი, ან კიდევ რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი. ის მორფოლოგიის შესწავლის საგნად მიიჩნევა ზმნიზედას, ფორმის მიხედვით გამოყოფს პირველად და ნაწარმოებ ზმნისართებს, შინაარსის მიხედვით განიხილავს რვა ჯგუფს (ადგილის, დროის, ვითარების, ზომა-ოდენობის, მიზეზის, მიზნის, კითხვითი, მიმართებითი) (შანიძე, 1980: 587, 588, 594).

არნ. ჩიქობავას განსხვავებული მოსაზრებით, უვარგისია მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია და გვთავაზობს ახალ-ოდენ მორფოლოგიურ (და არა პრაგმატულ-სემანტიკურ) კრიტერიუმებზე დამყარებულ კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციით ზმნისართი მოქცეულია „უცვლელ, სრულმნიშვნელოვან და დამხმარე სიტყვათა ჯგუფში“, რამდენადაც ზმნისართი ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია, არნ. ჩიქობავა მას მორფოლოგიაში საერთოდ არ განიხილავს (ჩიქობავა, 1937: 266).

გ. შალამბერიძის აზრით, ქართულში ზმნისართის მიჩნევა მეტყველების ნაწილად გამართლებულია: 1. ზმნისართი მორფოლოგიურად განსხვავდება ყველა სხვა მეტყველების ნაწილისაგან; 2. სემასიოლოგიურად განსხვავებულია სხვა მეტყველების ნაწილებისაგან; 3. განსხვავებულია სინტაქსური თვალსაზრისითაც. ასე რომ, სიტყვათა კლასიფიკაციას

მეტყველების ნაწილებად რა პრინციპებიც უნდა დავუდოთ საფუძვლად, იქნების მორფოლოგიური, სემასიოლოგიური, სინტაქსური თუ სამივე ერთად, ზმნისართის გამოყოფას ცალკე მეტყველების ნაწილად გამართლება მაინც აქვს (შალამბერიძე, 1959:15).

თ. უთურგაიძის აზრით, ბრუნვის ფორმა აქვთ მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის დაუშვებელი: სახელთა ფორმები სწორედ ბრუნვის პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიზედებად, ანუ გარემოებებად“ (უთურგაიძე, 1986:91). როგორც ვხედავთ, ავტორს „ზმნიზედისა“ და „გარემოების“ ცნებები ტოლფასად მიაჩნია; ამდენად, მის მიერ მოცემული კლასიფიკაცია სინტაქსურ კრიტერიუმს ემყარება. კონტექსტებში: „ქალაქს ესახლა“, „ქალაქიდან მიდის“, „ქალაქამდე მივიდა“ ქალაქ-ფუძეზე შეზრდილი ბრუნვის ნიშნები (თანდებულთა ან უთანდებულოდ) წარმოქმნილ ელემენტებად გარდაიქმნებიან (გაბუნია, 1993:13).

წარმოდგენილი გრამატიკული ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, რომ ზმნისართის შესახებ არ არსებობს ერთიანი აზრი. ეს ვითარება უპირველესად, გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს მეტყველების ნაწილის მორფოლოგიური კატეგორიის კლასიფიკაციისათვის მოსარგები სანდო კრიტერიუმები, იმანენტური ნიშანი (გაბუნია, 1993: 14).

დროის ზმნისართის ძირითადი ფუნქციაა, გამოხატოს მოქმედების დრო. შესაბამისია მისი კითხვებიც: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს? სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს: 1. დროის ზმნისართები, რომლებსაც არა აქვთ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა, ან კიდევ საკუთარი წარმოებისა: აწ, ახლა, წელან, წუხელ, გუშინ, შარშან, უწინ, ხვალ, ზეგ, ჯერ, ჯერ კიდევ, შემდეგ, მერმე (მერე), მაშინ, ადრე, გვიან, მალე, მუდამ, ერთხელ, ზოგჯერ... 2. გაქვავებული (მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის) ბრუნვის ფორმიანი ზმნისართები (უთანდებულო ან თანდებულიანი). 3. ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით (ხანდახან, წინდაწინ, დღედაღამ, დროდადრო, თვედათვე, ზამთარ-ზაფხულ...) (კვაჭაძე, 2001: 284).

შიდაქართულ მეტყველებაში სტრუქტურულად შეიძლება გამოვყოთ დროის ზმნისართების ყველა ის ჯგუფი, რაც სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის სხვა დიალექტებში დასტურდება.

1. დროის ზმნისართები, რომლებსაც არა აქვთ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა ან საკუთარი წარმოებისა. მაგ.:

წელან/წელანა (= ცოტა ხნის წინ): ჩვენმა ბავშვებმა დაუარეს წელანა (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 438); **წელან** გელოდებოდი და რათ დაგავციანდა? (დისევი); **წელანა** სიმღერასა ჭიკჭიკებდა რაღაცასა (ქარელი); -ჰო, **წელანა?** (კარალეთი).

დასტურდება **ც(ა)** ნაწილაკიანი ფორმებიც: დაამწყვდიე ე მამალი ისე ყოყლოჩინობს, **წელანაცა** საკბენად გამოეკიდა ბალღებსა (ხიდისთავი).

იმვითად გვხვდება **ვე** ნაწილაკიანი ფორმაც: **წელანვე** გავხედე, მაგრა თვალთანა არაფერი მოჩანს (ტახტისძირი).

წელან წარმოშობილია **აწელა**-დან, რომელსაც წინ ა ჩამოეკვეცა და ბოლოს ნ დაერთო ←[ა] წე-ლა-ნ. „მოლარე ჰკადრებს: მოვიდა აწელა ფერნამკრთალიო“. „ვეფხ.“ 104 (შანიძე, 1980: 595).

შარშან/შარშანა (=გასულ წელს, ერთი წლის წინათ): **შარშან** ძიელ ცოტა ლობიო მოგვივიდა (რუისი) (მესხიშვილი, 2006: 43); **შარშანა** გამისლიპინდა ფეხი (ხიდისთავი).

„შარშან“ ზმნისართის წარმოების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „მიცემითის ფორმა ჩანს შარ-ს, ასიმილაციით შარ-შ, როგორც ეს იხმარება

ხევესურულში, ან ფორმანტის დართვით შარშ-ან სხვა ზმნიზედების ანალოგიით უკან, წელან, მოლან და მისთ. ძველად იყო შრ-ან და აქედან: შრანდითგან“ (II კორ. 9,2) (შანიძე, 1980: 589). „შარშა“ დროის ზმნისართის ძველ ქართულში არსებობას ადასტურებს გ. შალამბერიძე შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებზე დაყრდნობით. მაგ.: მომეც მე აწვა, ვ-ა იგი მომეც შარშა კიმ.I, 210, 13; რ-ლ იგი მიქადაგე შარშა: იქვე, 210, 23 (შალამბერიძე, 1959: 35).

ადრე ზმნისართი გვხვდება რამდენიმე მნიშვნელობით. 1. **მალეს** სინონიმად: ის იყო კარქი პატარმალი, რომელიც **ადრე** ადგებოდა, მამლი ყვილისას და ცეცხლ გააღვიძებდა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 35); შაბათობითა **ადრე** ავილებდით ხელსა, ავიკვირამლებდით (ერთაწმინდა). 2. **უწინ** ზმნისართის ნაცვლად: მაგანა ასე გამლანძლა **ადრე** (დირბი); **ადრე** რო იყო, მასინჯლარს მიგზავნიდნენ და ისე არჩევდნენ (დირბი).

ქართლურში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „გარკვეულ კონტექსტში ცა ნაწილაკია ნახმარი თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული ც-ს ნაცვლად“ (ზურაბიშვილი, 1972:51). შიდაქართლურშიც გვხვდება **ც (ა)** ნაწილაკიანდართული ფორმა - **ადრეცა** (= რამდენიმე დღის, თვის, წლის, წუთის, სათის წინ ან წინდაწინ): **ადრეცა** ვასესხი და ყბა ჩამომადებინა, სანამ არ შევსვი ვირზე, მინამ არ გაიგო (დირბი). პარალელურად გვხვდება ვე ნაწილაკდართული ზმნისართიც. მაგ.: **ადრევე** მიგრძნობდა გული, რომ ეს საქმე ასე არ ჩაივლიდა (ტახტისძირი).

გვიან//გვიანა (=კარგა ხნის შემდეგ; ხანგრძლივი დროის შემდეგ): **გვიან** მოვატაროვეთ (კირბალი); როდის, როდის გამოიზლაზნა **გვიანა** (ფცა).

წუხელ // წუხელა (= გუმინ, სადამოს): **წუხელ** ისე გაიჯეილა, არ მეგონა თუ სახლისაკენ

იზამდა პირს (სალოლაშენი); კედლი გვერძე მეძინა იმ სიცივეში **წუხელა** (ახალქალაქი).

კიდევ //კიდევა//კიდენ//კიდენა (= მუდმივ, ხელახლა, ჯერ კიდევ): თითონ **კიდენა** დღე და ღამე იმი ცდიელობაშია, რა შევიტანო შინაო (რუისი); ის **კიდენა** ზიის გასუნთქული, ვითომ ბაიბურშიც არ არი (მესხიშვილი, 2006:43); ჩვენ **კიდენა** ერთი ლეჩაქყური ადგილი მოგვიგდო ხრიოკებშია (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:100); იმას **კიდევა** არცა ხსომებია (ახალქალაქი); მერე რაღაცას ვიზამ **კიდევა** (ატენი).

გვხვდება **ვ** ბგერის დაკარგვის შემთხვევები: შენ **კიდე** რამე გეთქმის? (სალოლაშენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:311); გადავიღე ღვინო და ველოდები, რო დაწკნეს **კიდე** (←**კიდევ**), რო გადავიღო და მერე იცოცხლე არაფერი შეედრება, ისეთი გამოვა (ატენი). ხშირად „**კიდე** (←**კიდევ**)“ ახლავს „**ახლა**“ ზმნისართს: ყელზე ამოუა ჯირკვალი ადამიანსა და **ახლა** **კიდე** (ერედვი); ი ბესიანთ ბიჭი ჩამაივლის ჩვენ კარებზედა და **ახლა** **კიდე** (კავთისხევი).

ახლა //ეხლა (= ამჟამად, ამ მომენტში): რძე აზიზია **ახლა** (ლამისყანა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:17); **ახლა** ჩემ გულში ჩამოიხედონ (ძეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 291); **ახლა** მესამესაც ამზადებს (იგოეთი) (მესხიშვილი, 2006:43); **ახლა** ქორწილი სულ სხვანაირი იციან (კირბალი); გამომივიდა **ახლა** ესეცა დამცველი (ბრეთი); აღარ გვინდა გორახი, **ახლა** გვინდა ტალახი (ატენი).

უფრო ხშირად იხმარება **ეხლა**. მაგ.: ქა, არ იცი, **ეხლა** ბლომებია მოდაში?! (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:30); **ეხლა** ისეთი გორიგლეჯია მანქანები გაჩნდა, რა უნდა გზის გაკეთებასა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:57); ძან მიყვარდა ლიკინა მჭადები, ვილა აცხოფს **ეხლა**?! (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:100); იტყოდა ხომე პაპაჩემი, **ეხლა** თქვენ იცით, შვილებო (არადეთი) (მესხიშვილი, 2006: 45); **ეხლა** ვეღარასა ვხედავ (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 61); **ეხლა** კამერის რქაში არიან ჩვენი შვილები, მშვიგრები არ არიან და ტიტვლები (გრაკალი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:240); როგორც მიაჩქიანე,

ისე **ეხლავე** მიაგავე (მეჯვრისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:294); **ეხლა** მე ალუბალი უნდა მოვცნო (ატოცი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:318); გაშხირდა შავფხა **ეხლა** (გაჩეჩილაძე, 1970: 324); მა **ეხლა** არი გასართობი, არაფერი აქვთ ბავშვებსა (კარალეთი); **ეხლა** შენა, შვილო, უკვე ნერვებ მიშლი (კარალეთი); ღირსია **ეხლა** ესა რამისაი? (ახალქალაქი); ნეტა რა ეგონა, **ეხლა** კი მეწუწუნა, მიყიდე, მიყიდეო, მაგ მეელიფლეთიამა და აბა რა უყო, რა ვქნა? (დირბი); სადღა ამაიყამ **ეხლა** ე ხალხი, ხო ხედამს, რო გამეგებია მარშუტკაი (ატენი); **ეხლა** ყველაფერი შეიცვალა (კარალეთი); ჰო, მითხარი **ეხლა** რა გინდა (ხელთუბანი); **ეხლა** ეზოში გვაქ წყალი და ხარჯე რამდენიც გინდა (ატენი).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნიან სახელებთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ფორმებში-**დაბლა, ნელა, ჩქარა, მაღლა, ახლა** - რა ფუნქციას ასრულებს -ა სუფიქსი? თუ გავიაზრებთ იმ თვალსაზრისს, რომ ზმნისართია ყველა გარემოება, ბუნებრივია -ა სუფიქსი შეიძლება მივიჩნიოთ ზმნისართული ფუძის მაწარმოებლად. -ა იმავე რიგის აფიქსია რომლისაც -ად, ავად, კარგად ფორმებში გვხვდება. -ა მართლაც იგივე ოდენობაა, რაც -ად, მაგრამ იგი -ად ფორმამწარმოებელი აფიქსია და არა სიტყვამწარმოებელი (გაბუნია, 1993:21). -ა სუფიქსის წარმოშობა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორგვარად აიხსნება: 1. იგი -ად მორფემის ალომორფია (შდრ. ძვ.ქართ. -ჯოჯოხეთა, კახეთა (ჩიქობავა, 2010: 257-258); 2. მიღებულია -ად მორფემის ცვეთის შედეგად, მისი ფონეტიკური ვარიანტია (ონიანი, 1989:209, 2011).

მუდან (←-მუდამ. მ-ნ ბგერების მონაცვლეობით): **მუდან** ერთი და იგივე, გაწყალდა გული (დირბი).

სუ მუდამ // სუ მუდამა (= **სულ მუდამ, სულ მუდმივ**): მარილის თვალი **სუ მუდამ** ჯიბეში გვედო (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:103); **სუ მუდამ** ჯიბრი თვალით უყურებს ძალსა (ტახტისძირი); რატო იცი **სუ მუდამა** კვალში ჩადგომი (დვანი).

ჯერ//ჯერა// ჯერე გვხვდება რამდენიმე მნიშვნელობით: 1. **სხვაზე ადრე**: ეჰ, რა დროს მოესწრო, **ჯერ** თვითონა იყო პირველი, სხვაი კი მეორე, ეჰ! (დირბი); გაზაფხული პირზე **ჯერა** ენძელა ამოყოფს თავსა, შემდეგა ხომე იაი (ტახტისძირი). 2. „აქამდე“ ზმნისართის შემცვლელად: კიდენა მტკივა **ჯერა** (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:66); ისევ ზედ არი **ჯერა** (ერედვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:233); არ მინახავს **ჯერა** (ბროწლეთი) (მესხიშვილი, 2006:64); მანქანა რომ არ არის **ჯერე** მოსული? (ახრისი); თქვენა არ დათესეთ **ჯერა?** (კირბალი); ოზდაერთი ცალი ბოცა მააქ ღვინოი, **ჯერა** ხელი არ მიხლია (სალოლაშენი); არ დავთესეთ **ჯერა** (ხელთუბანი); მაგრამ მანქანა რომ არ არის **ჯერე** მოსული? (ახრისი). 3. **უწინ**: **ჯერ** ისეთები მითხრა და ახლა კიდენ თავი დაიმუდარა (ერთაწმინდა) (მესხიშვილი, 2006:66). 3. **გარკვეული მომენტის დადგომა**: ენასა არა ცდილობს **ჯერა** თქვენი ბავში? (ძეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:392); **ჯერა** რა მეჩქარება (სალოლაშენი).

ხვალ//ხვალა: ერთ ბუმბულას ამოვაცენებ დღეს, ერთსაც **ხვალა** (ბრეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:29); **ხვალ** ადრიანათ შამოუშალოთ კალოსა (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:450); გამომიარე **ხვალა** (კარალეთი); გამომიარე **ხვალა** და ერთად წავიდეთ (გარეჯვარი); **ხვალა** აქვთ კრებაი (გარეჯვარი).

ხვალე გვხვდება ძველ წერილობით ტექსტებში: **ხვალე** განსვლაა არს ჩემი. ჰაბო, 70, 38; **ხვალე** მოგცნე იგინი: მსოფ, 20,38. (შალამბერიძე, 1959:35). **ხვალე**-ში ხ ვ-ს წინ განვითარებულად არის მიჩნეული (ჩიქობავა, 1946:126).

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ პირველად ზმნისართებში წინ(ა), ხვალ(ე), ფრჩხილებში დართული ხმოვნები სალიტერატურო ენაში აღდგება ც ნაწილაკის დართვისას (შანიძე, 1980: 588).

შიდაქართულურში ეს ხმოვნები გვხვდება ც-ნაწილაკის გარეშე: ჩაუარე **ხვალე** და კარგათა ჩაუსხედით სიძე-ცოლისძმია (კარალეთი); **ხვალე** რო გუდა-ნაბადსა ავუკრავ, მაშინა ნახოს მაგანა (დოესი).

მერე (= რამდენიმე ხნის შემდეგ): ეხლა შუშუტია და **მერე** ნეტა თუ ჭკუას მაიკრეფს ეგა? (იგოეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:458); იქნება **მერე** წესიერი რამეი?-არ იქნება და თბილისში ვიყიდი **მერე** (ახალქალაქი); ჭყინტ კაკალსა, ოდნავ რო ეტყობა უღელი, დავჩხვლეტავთ ერთი ექვსგანა, ჩავყრით კირში ცხრა დღეი, **მერე** გავრეცხავთ კობტათა გამდინარე წყალშია, **მერე** მოვადუღეთ შაბიან წყალში, **მერე** მაგი მოვადუღებთ პესოკ წყალში, გავაჩერეთ და **მერე** შევადგავთ მოსახარშათა და ვადუღეთ, სანამ არ მოიხარშება (გარეჯვარი); დამაგულებს ხომე ფულსა და აღარ მეშვება **მერე**. აი, ავი ჭკუისას მეხუმრება ეგა, თუ აუარდი სახლშია, **მერე** ნახოსა.. (ღირბი).

იშვიათად გვხვდება „**მერმე**“-ც : **მერმე** კიდევა გახმა აჰა (ხიდისთავი). „**მერმე**“ სულხან-საბას განმარტებული აქვს „აწის შემდგომად“, ხოლო ამავე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა „**მერმის**“ - „**მომავალ წელს** (ა)“, ხოლო - „**მერე** - **მერმეს** ნაკვეთი“ (ორბელიანი, 1991:465). ძველ ლიტერატურულ ძეგლებში იხმარება „უკანასკნელად, მეორედ, შემდეგ“-ის მნიშვნელობით: **მერმე** გადმოვიდა საზღვრით: C მრკ 7,31. **მერმე**-ს ენაცვლება **მეორე**: და იყო **მეორესა** დღესა DE 1.9,37 შდრ.C. და იყო **მერმესა** დღესა. **მეორე**→**მერე** (ო-ს დასუსტებით)→**მემრე** (ვ-ს მ-ში გადასვლით)→**მერმე** (თანხმოვანთ გადასვლით). მაშასადამე, **მერმე** ფორმას წინ უსწრებდა ადრინდელი **მემრე**, რომელიც ახლა არალიტერატურულად ითვლება და დიალექტებშია დაცული (შალამბერიძე, 1959: 34). ნიკო მარს აღნიშნული აქვს, რომ **მეორეს** გვერდით გვაქვს **მე-რმე** ფორმაც, რომელსაც სვანური წარმოქმნიდან ნასესხებად მიიჩნევს (სვ. მე-რბე←**მერმე**)“ (მარი, 1925: 81).

„**მემრე**“ ნამეტათეზისარი „**მერმე**“-საგან უნდა მომდინარეობდეს: **მერმე**←**მემრე**. „**მერმე**“-საგან კი „**მერე**“ მ-ს დაკარგვით. ალგეთის ხეობის ქართულურში დასტურდება **მემრე**. მაგ.: **მემრე** მეორე ამხანაგს მოუხნამენ (ჯორჯიაშვილები) (სალარიძე, 1978: 65).

მალე (=ჩქარა, სწრაფად): **მალე** დაიხრიხვებიან ჩემი წიწილები, მალე შესაწვავები იქნებიან (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:67); **მალე** მოსაგები რო გახდება კამეჩი ან ძროხა, იტყვიან, მოდღევდა ან მოიწიაო (ქორდი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:298); **მალე** გავფხუკიანდები, რო ვინმე აწყენინებს რამესა, **მალე** გაბრაზდება ხოლმე, **მალე** სწყინს ვერა ხედამ? (ატენი). იშვიათად გვხვდება -ვე ნაწილაკიანი ფორმები. მაგ.: ჩამოვა მგონი **მალევე** (ახალქალაქი).

გუშინ //**გუშინა** (= წინა დღეს): **გუშინ** რო პური გამოვაცხე, რა ლაგოზი გამოცხვა (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:252); იქა სულ მოგოხეს **გუშინა** (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:297); **გუშინა** ვჭიდაობდით (ხიდისთავი); იმდენი ვიმუშავე **გუშინა** (ხიდისთავი); მათ, ჩემი ბიჭი გავგზავნე **გუშინა** და ამავეტანინე (გარეჯვარი); იმდენი ვიმუშავე **გუშინა**, მთელი დღე ფეხზე ვიდექი, თანა წელში გავწყდი (ხიდისთავი); მე ვერევი გიოსა, **გუშინა** ვჭიდაობდით და ზურგზედა მოვიკიდავ და დავაზღვიე, ტყაპა გასძვრა (ატენი).

ც(ა) ნაწილაკიანი ფორმები: **გუშინაცა** ავუხსენი ყველაფერი გასაგებადა და ნორმალურათა (გარეჯვარი); **გუშინაცა** ისე გადაუბღვირა მეზობლებსა, გეგონება ვინმესა რამეი ემართათ მაგისა (ბრეთი).

მაშინ//**მაშინა** (=იმ დროს, მას შემდეგ) (←მას შინა. შალამბერიძე, 1959:34). მაგ.: ჩემი ქმარი **მაშინ** აზეხვეებული იყო (საგურამო) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:17); თორე ჩემსავით გაჭირვებული იყოს **მაშინა** ნახამდა! (თამარაშენი) ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:25); **მაშინა** წინდაწინ უნდა დასველდეს ის ადგილი

(მეჯვრისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:162); როცა ქარი და მზე არტყამს, კაკალი იკვლანჭება **მაშინა** (მერეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981 :229); ნაწილი რო გაუჩთა, **მაშინ** დასეტყვა და მოსპო მთლიანათ (გაჩეჩილაძე, 1970: 331); უნა გენახათ **მაშინა** (დირბი); ფასად აქცევ **მაშინა?** (კარალეთი).

ქართულ ენაში **წინ** ზმნისართი ხშირად იხმარება დროის მნიშვნელობით. **ძველი ქართული**: რომელი იქმნა **წინად** ეპისკოპოს (სინ.). რომელ არა **წინავე** მოვედ (ლ. მროველ.). რომელსა-იგი **წინაითვე** ვხედვედ (ჭილ. ეტრ.). **თანამედროვე სალიტერატურო ქართული**: **წინად** ქათმებისაგან გადაქელილი იყო (ვაჟა). მასუკან დასჩემდა და **წინეთაც** ასე იყო (აკაკი). საუკუნეთა **წინ** დაიბადა ბავშვი (ნ. ლორთქ.). **ქართული ენის დიალექტები**: **წინავე** ხის გუთნები იყვის (მოხ. დიალექტ.). **უწინავ** აფხუშო ხალხით სავსე იყო (ფშ. დიალ.). **წინ-წინ** ჟინვალის მიდამოეფს ჰრქმევია შირვანი (ქართ. იმნ.). პური ჭამის **წინ** პატარძალი ხელწყალს მიუტანდაყე კაცეფს (რაჭ. დიალ.) (გაბუნია, 2019: 283).

შიდაქართლურ მეტყველებაში გვხვდება :

უწინ//უწინა (= ადრე, მანამდე): გაზაფხულზე **უწინ** შენ მოგცემ (კეხვი); მოსავლის აღებადდე, მათ უნდა მივართვათ **უწინა** (დვანი).

ცალკე იხმარება აგრეთვე **წინ//წინა**, რომელიც ცვლის **უწინ** ზმნისართს: ჩამოუა რძალი **წინა** (ტახტისძირში); პეტრეპავლობის **წინა** იყო დიდი მზადებაი (ტახტისძირი); მოვემზადებოდით ახალი წლის **წინ** დიდი აზრამიანითა (დირბი); **რამდენიმე ხნის წინ** ჩივა (ახრისი); ეს კვერები ხუთშაბათს დამე უნდა შეიჭამოს **ძილის წინა** (ზერტი). ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება ჯავახურშიც: „ვინც **წინ** მივა, ის იყიდამს“; „**წინ** თუ მოხნამ, კარგია“ (ბერიძე, 1988:92).

წინათ// წინათა//წინათი (←წი-ნა-**ათ**) (=უწინ): წინათ ჩემი მამა-პაპა ჩამოსულა რაჭიდანა (ტახტისძირი); ახლა ქორწილი სულ სხვანაირი იციან, **წინათა** კიდევა უფრო ბევრი ტრადიციები იყო დაკავშირებული ქორწილთანა. მაგალითად, **წინათა** ქორწილში ცხვებოდა ჯვრის პური, რომელსაცა ჯვრის ფორმა ქონდა (კირბალი); **წინათი** როგორი ვაიუბედურობით საიდან სად მოგვქონდა წყალი და უფროხილდებოდით (ატენი).

წინათაც/წინათაცა (=ადრეც): ამ **წინათაცა** ასე გამიკეთა დამტოვა შუა გზაზედა (დირბი).

ამას წინათა (= გარკვეული დროის წინ): ამას წინათა მეც მივიღე კარგი ლანძვავი (დირბი). **ამ წინაზე** (= ცოტა ხნის წინ): მომადგა **ამ წინაზე** კარსა და უარი ვერაფრით გავაწყე, დამტყუა ფული მაინცა (ტახტისძირი).

წინ ზმნისართის ანტონიმურია ზმნისართი-**უკან**. „**წინ** და **უკან** ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო ადგილის მნიშვნელობით, არამედ დროითი მნიშვნელობითაც“ (აფრიდონიძე, 1984: 244-258).

ზმნისართი **უკან** გამოხატავს მომავალს როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებში. **თანამედროვე სალიტერატურო ქართული**: თორმეტს დღეს **უკან** მოვიდნენ (რ. ერისთ.); რა ილაპარაკეს მას **უკან**, არ ვიცი (ილია); **ქართული ენის დიალექტები**: **მასკან** ხენწიფემ დაუძახა მეცხვარეს (აჭარ.); ერთ საათს **უკან** შეკაზმევდენ ერბოთი (რაჭ.). **გაწმედას უკან** ნავში ვყრუთ (ინგილ.); მას **უკან** დამრჩალი არის აქა (მოხ. ქავთ.) (გაბუნია, 2019: 284).

შიდა ქართლურ მეტყველებაშიც „**უკან**“ ცვლის „**შემდეგ**“ დროის ზმნისართს და გამოხატავს მომავალს. მაგ.: **სადილობაი უკან** მუშებ მოშივდა (ხიდისთავი).

ქართული პრესის მასალებში შეინიშნება ანტონიმური **წინ** და **უკან** სიტყვების სინონიმური ხმარების ტენდენცია: „ოთხი წლის **უკან** (=ოთხი წლის წინ)“; „ერთი კვირის

უკან (= ერთი კვირის წინ)“... ამ მაგალითებში უკან ნახმარია „წინათ“, „ადრე“-ს მნიშვნელობით. ძველი სალიტერატურო ქართულისათვის უკან სიტყვის ხმარება „მერმისობის“, „შემდგომადობის“ გაგებით საზოგადოდ არ იყო დამახასიათებელი. ამ მნიშვნელობას, ჩვეულებრივ, გადმოსცემდნენ ზმნისართები: მერმე (მერე), შემდეგ (შემდგომ, შემდგომად) და სხვა. უკუანა ზმნისართი ფუძის სახით დროის ამსახველად არსად არ გვხვდება. თითო-ორი მაგალითში დასტურდება მისი ხმარება კომპოზიტში (**უკანად სუნელ**) ან ნათესაობითის ფორმით (**უკუნად ს**). უკან ფორმის ხმარება „შემდეგ“, „მერე“ სემანტიკით უკვე „რუსუდანანის“ ტექსტში გვხვდება: „სამს დღეს უკან“, „სამ თვეს უკან“; შემდეგ მისი ხმარების არე ფართოვდება და ამ მნიშვნელობით იხმარება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში და ამ კუთხეებიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც: **მასუკან** ხშირად იტყოდა ხოლმე (აკაკი); მერე **მასუკანი** გაჩთა ყველაფერი (რაჭ. დიალ.); **მასკან** (აჭარ.დიალ.); ვახშამ უკან (ფერ.დიალ.); რაქთენ დღეს უკან (ფერ.დიალ.) იგი ბუნებრივია ქართული ენის დასავლური და აღმოსავლური (მათ შორის მთის) კილოებისთვის და შესაბამისად, ამ კილოთა წარმომადგენელ მწერალთა ენისათვის (აფრიდონიძე, 1984: 248-249; გაბუნია, 2019: 284).

სხვა საკითხია უკან სიტყვის ხმარება წინ ზმნისართის სინონიმური მნიშვნელობით (ტემპოლარულ ასპექტში). კ. გაბუნია აღინიშნავს, რომ დროის ღერძი მთლიანად სუბიექტურია და ყოველი მოვლენა მთქმელთან მიმართებით განიხილება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც დროის ღერძის სივრცული გააზრება მთქმელის მიერ განისაზღვრება: თუ იგი წარსულს წარმოიდგენს როგორც განვლილ გზას („უკან“ მიმართება სივრცული თვალსაზრისით), მაშინ უკან ზმნისართი წარსულის ამსახველია შესაბამისად, ეს ზმნისართი მომავლის გამომხატველი იქნება, თუ მთქმელი წარსულისაკენ „გაიხედება“. ამდენად, უკან ზმნისართის გამოყენება „უწინარესობისა“ თუ „მერმისობის“ გადმოსაცემად მთლიანად სუბიექტურ ფაქტორზე დამყარებით ხდება (გაბუნია, 2019: 284, 285).

მკვლევარებს ეს დაკავშირება იმის დამადასტურებლად მიაჩნიათ, რომ დროითი ცნებები სივრცულის გადააზრების შედეგად წარმოიშვა. პირველად, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა სივრცის კატეგორია, რადგან იგი გვეძლევა უშუალოდ მხედველობის, მოძრაობისა და შეხების შეგრძნებათა მეშვეობით. დროითი მიმართებების ასახვისას ყოველთვის განმსაზღვრელია სუბიექტური ფაქტორი. მომენტთან მიმართებით, ამ თვალსაზრისით გვაქვს ე. წ. „აბსოლიტური“ და „ფარდობითი დრო“ (აბულაძე, 1986: 6). დრო გვეძლევა მეხსიერების საშუალებით. სივრცული მნიშვნელობების დროითში გადასვლის ფაქტები ქართველური ენებისთვისაც არ არის უცხო (ჩიქოზავა, 1945:3).

როგორც ცნობილია, ზმნისართად შეიძლება იქცეს: „მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები, თვითეული მათგანი სუფთად ან თანდებულის დართვით. სრულიად გამორიცხულია სახელობითისა, მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები“ (შანიძე, 1980:599).

ქართულ ენაში, გარდა მოთხრობითი ბრუნვისა, შეიძლება ზმნისართად მოიქცეს სხვა ნებისმიერი ბრუნვის ფორმა, ამისათვის საკმარისია სახელის ფორმის ბრუნვის პარადიგმიდან ამოვარდნა, რაც იწვევს სემანტიკური, ანუ სალექსიკონო ცვლილებას. მრავალი არსებითი სახელის მოქცევა შეიძლება ზმნისართად ისე, რომ ფორმა არ შეეცვალოს; მაგ., ზაფხულს, შემოდგომას, კვირას... „ფორმა არ შეეცვალოს“ ეხება გამოხატულების პლანს, მხოლოდ ბგერობრივ იგივეობას, გრამატიკულად ისინი (საერთო ბგერობრივი შედგენილობის არსებითი სახელი და ზმნისართი) დიდად არიან განსხვავებული: „ზაფხულს“ არსებით სახელში -ს ფუძეში არ შედის, ბრუნვის ნიშანია („ზაფხულს შემოდგომა მოსდევს“), რომელიც პარადიგმაში შეიძლება ჩანაცვლებული იყოს სხვა ბრუნვის

ნიშნით, ზმნისართ „ზაფხულს“ ფორმაში კი -ს დაბოლოება ფუძის კუთვნილებაა, როგორც წარმომქნელი ელემენტი („ამ ზაფხულს ზღვაზე ისვენებდა“). ზმნისართი „ზაფხულს“ პარადიგმას მოკლებულია და არც შინაარსობრივად ნიშნავს არსებითი სახელის მიცემით ბრუნვის „ზაფხულს“ ფორმას (უთურგაიძე, 2005: 256-257).

ეს ფორმები გვხვდება შიდაქართლურ მეტყველებაშიც.

დროის ზმნისართი მიცემითში:

ა) მიცემითი ბრუნვის ნიშნით ან ფუძის სახით წარმოდგენილი. მაგ.: მაყართ დასმა ქორწილის მეორე დღეს იცოდნენ (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 276); შენი მუშები რაში მეკითხება, დღეს ქალბატონობამ მომიარაო-ქალმა უთხრა (ატენი); ერთ წუთს ვერ ნახავ გაჩერებულსა (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 276); ღამე ძილი არ გინდათ, ან დილას ადგომი?! (ერედვი) (მესხიშვილი, 2006: 56); დღესა ან ხვალა დავკარგავთ ბინასა (არადეთი); შენ მუშაობ დღესა? (ქარელი); წავიდა დღესა (ახალქალაქი); ეხა, იმ დღესა უთხარი, დაურეკე იმასა (კარალეთი); ჯერ კი გულიანად დაიწყევს საქმესა, მაგრამ ბოლოს მოუშაფათებს ხომე (მერეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 314); ჩვენ დროსა ლობიოს ვჭამდით, მხალსა, ჭადსა (ხიდისთავი); აღარ გახსომს ომის დროსა? (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:99); მე ვიტიბჭირავე დღესა (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:234); ვაიმე, ქალო, დღეს მიენ გაბრაზებული ვარ, დილასა ფქვილი კაცი უნა მოსულიყო (არადეთი); ალია-ბალია ერთ თვესა, მერე რაღაცას ვიზამ კიდევა (ტახტისძირი); დილას რო დავალაგებ სახლსა (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 291); დიდ ხანს არ ინახება, დაახლოებით ერთ წელს სძლებს, მერე ჭიის გაჩენა იცის ხოლმე (ზერტი); თან როგორ კაი ფასი ქონდა წელსა (კირბალი); სუ იხოჭებოდა ღამესა (მესხიშვილი, 2006:218). რას დაიზუზები ამ შუაღამესა (მერეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:162); საღამოს წავადედებდი პური ცომსა, ამოვიღებდი ქილიდანა (კარალეთი); ცივი ზამთარი გვაქს წელსა (კარალეთი).

გ (ა) ნაწილაკიანი: აგრე იმ დღესაცა შეშაც სხვას დავაჭრინე (ახალქალაქი); დღესაც [ქვიშა] ისევ ისე ახორავია (კავთისხევი).

იკარგება ბრუნვის ნიშანი: წრეულ (←წელს) ხილის ნასახი არ გვექნება (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:312); ამდენხან (←ამდენხანს) ბერათ ვამყოფებთ (ბროწლეთი)(მ. მესხიშვილი, 2006: 29); თუ გარეთ დატოვე ძროხაი ამაღამა (←ამ ღამეს) ხელდახელ გასძენარამენ მგლები (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:127). სპარტაკას შვილიშვილი ისეთი კუსპარაა, რო რაღა, ემ წამ (← ამ წამს) რო ექ არი, მეორე წამში, ვინ იცი სად ამოყოფს თავსა, ახლა როგორი ენა აქ (ატენი); ცოტა ხან (←ხანს) მაცალე და მერე მე ვიცი (სალოლაშენი); რამდენ წელ გაუძლეფ (დირბი). მსგავსი მოვლენები დამახასიათებელია კახურისა და ზემოაჭარულისათვის (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956: 82; ნიჟარაძე, 1957:40).

„წრეულ“ წარმოდგენილია -ც (ა) ნაწილაკით. მაგ.: წრეულაც არ გამოიბა, ერთი კიმპალი ამ ვაზმა (ტახტისძირი).

ბ) თანდებულიანი: ზაფხულში ავალთ ხომე ზეითა სახშია (ბროწლეთი) (მესხიშვილი, 2006: 84); ზამთარშია აბატამენ ხომე სიმინდსა (ვარიანი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:12); ძველი სიმინდი ზაფხულშიაც აქვთ (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:256); ხორც თუ არაფერი დააფარე ზაფხულში იმსააჩი ჩახსილამს (ატენი); როცა მალინა სიმწიფეს დაიწყებს, ყოველ ორ დღეში ერთხელ უნდა მოკრეფა თორე (კარალეთი); გაზაფხულზე გაიპარება ნიორი, როცა ვერ დათესამ დროზედა (ზემო ხანდაკი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:97).

ერთდროულად გვიჩვენებს ნათესაობითისა და მიცემითის ფორმებს: **გოგობისას** იყო და ეგრე იყო გალახული (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:95); **ბავშობისას** ისეთი კაკაროტი იყო, ძვლები დაეთვლებოდა (ტახტიძირი).

ზოგიერთი თანდებული ან ზმნისართი შიდაქართლურში მართავს მიცემით ბრუნვას ნათესაობითის ნაცვლად. მაგ.: **ორ საათს უკან** (← ორი საათის უკან) წავიდა (დირბი); **ამას წინ** (=ამის წინ) ჩაიარა (დვანი); თავი შეინახე ქორწილის **დღესთვინა** (←**დღისთვინა**) (სალოლაშენი). ანალოგიური შემთხვევები შენიშნულია სოფელ ქემერტის მცხოვრებთა მეტყველებაშიც (ნოზაძე, 1970: 344).

მიცემითში დასმულ დროის ზმნისართს ხშირად დაერთვის „**აქეთ//აქეთი//აქეთია**“ ზმნისართი: **დილას აქეთია** გიგოსეულში ვბუდნიდით (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:32); **დილას აქეთია** თუხთუხებს (კავთისხევი); **სალამოს აქეთი** ამას დამძახის (ბრეთი); **გუშინ აქეთია** არა ჩანს (სალოლაშენი).

ტაოურში **იქით/აქეთ, აქეთ/ იქით** ზმნისართები აღნიშნავს როგორც ადგილს, ისე დროს. ადგილი: აქეთ არი ქვაბაი (ფუტკარაძე, 1993 ა : 170); აქეთ გეÁარს გზაÁ (ფაღავა... 2005: 164); ჩემი სახლი იქით არი (ცინცაძე... 2017: 187). დრო: ორ თვეს იქით, სამ თვეს იქით აბლი თოვლი წომოა; ხუთ დღეს იქით თავლი მოხილვენ (დადიანი, 2019: 64).

დროის ზმნისართი ნათესაობითში:

ა) **უთანდებულო:** ისე გაუბაღამთ **წუხელისა** ხახვი ბოსტანშია (ერთაწმინდა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:79); **როდის** უნდა დავამტვრიო, **როდისღა** უნდა ავასხა (ბიწმენდი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:173).

იკარგება ბრუნვის ნიშნისეული -ს: კედლი გვერძე მეძინა იმ სიცივეში **წუხელა** (ახალქალაქი); **წუხელი** ისეთი მაგარი თვრალი ვიყა, ტელეფონი გაქანებული რეკანს და ვერა ვპოილობ (დირბი); გაკეკელავდა **წუხელი** ეს დედამკვდარი (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 44).

ბ) **თანდებულიანი:** ჩამოივლის **ორსაათისთვინა** (ზღუდერი); ჩავუჯდეთ, გეცა, **ახალწლისკენა** (დირბი).

ქართულში ერთი წყება ზმნისართებისა თავისუფლად ითავსებს თანდებულის ფუნქციასაც: თანდებულის მსგავსად დაერთვიან სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და ჰკარგავენ დამოუკიდებლობას. მათ ზმნისართულ თანდებულებს უწოდებენ (მარტიროსოვი, 1946:243-244).

მსგავსი შემთხვევები დასტურდება შიდაქართლურშიც: **პური გაცხავების დროსა**, ცხავი რასაც მაიგდეფს, **პურიც** იქნება შიგა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:177); გადმოყრილი რო აქ კბილები **სიცილი[ს] დროსა** (ტირმნისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:238); **პოლტაობის დროს** იხატებოდა ხუთი უჯრა ორ სვეტად (ზერტი); **რამდენიმე ხნის წინ** ჩივა (ახრისი); **ერთი კვირის შემდეგ** აღინიშნებოდა შიობა (კეხვი); **ამის შემდეგა** აღარც ქალ მოუვიდა ქალბატონობაი და აღარც ქმარ ვაჟბატონობაი (ხიდისთავი), **გაციების შემდეგ** დავლევთ (ნული); **ოცი წუთის მერე** ვხუფავ სახუფითა, და პირქვე ვამხოვ, სანამ გაცივდება(გარეჯვარი); **როდის აქეთია** ღორლი მაიტანეს გზის გასაკეთებლათა (კავთისხევი).

დროის ზმნისართი მოქმედებითი ბრუნვაში:

ა) **უთანდებულო:** საქონელ გარეკავენ **დილითა**, უნდა მოადილაონ (კავთისხევი); მოლიშხავს ამაღამა და ვეღარ გაივლის **დილითა** ბალახშია (ქვემო ჭალა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:308); **შემოდგომით** ამაგმაგდება ისიცა (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:48); თოვლს **გაზაფხულითა** ცხვარი გაიღვერება ხოლმე (ზემო ხანდაკი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:99); დააკამკამა ეზოი ჩემა ნათელამა ამ

დილითა (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:145); **დილით** ფათიფუთითა გაიქცა ჩემი ბაღლი, არ გამასწროს მატარებელმაო (დირბი).

ერთდროულად გვიჩვენებს ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმას: **დღისით** აპანწიალებული დაჰყავს [ბავშვი], ღამითა კი მაშოს გადააბარებს (ხვედურეთი); იმდენათ არ ჩანს **დღისითა** (არადეთი).

დღისით ფორმის გარდა, აგრეთვე გვხვდება **შუადღითი**, **საღამოთი**: **საღამოთი** უნდა შეაყენო მაწონი, **დილით** შეყენებული რათ ვარგა (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:445); მზე რო ამოვა, გაიმართება, **შუადღითი** იწყებენ ფაციფუცსა (დვანი). მსგავსი ფორმები დასტურდება ჯავახურში (ბერიძე, 1988:93); რო **საღამოთი** პირს წაუყინამს, გაარხელებას ეტყვიან (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:75).

ც(ა) ნაწილაკიანი ფორმები: **დილითაცა** ჩამოაქ რძეი და **საღამოთიცა** (ტახტისძირი).

მოქმედებითი ბრუნვით არის გაფორმებული ზმნისართთა ერთი წყება, რომლებიც სალიტერატურო ქართულში, ჩვეულებრივ თანდებულიანი ან უთანდებულო მიცემითი ბრუნვის ფორმით იხმარება: ასეთებია: **ხნით**, **დღით**, **გაზაფხულით (ა)**, **შემოდგომით (ა)**. მაგ.: საღამო ხნით ჩამოიარე! (თონეთი); იმ დღით გამოვაცხეთ პური (თონეთი) (სალარიძე, 1978: 64); მოიხვნება შემოდგომითა და დაიფარცხება **გაზაფხულითა** (დვანი). შდრ. **შემოდგომაზე**, **გაზაფხულზე**.

დასტურდება დროის ზმნისართის -ობა სუფიქსიანი წარმოებაც: ჩვენ მეზობელ სოფელში მეჯვრისხევეში იყო ხოლმე **კვირაობით** ბაზრობა (ზერტი).

ძველი ქართული ფორმალურადაც ცდილობდა ერთიმეორესაგან განესხვავებინა -ით სუფიქსიანი მოქმედებითი ბრუნვა -ით სუფიქსიანი ზმნისართისაგან: სახელის ფორმაში ბრუნვის ნიშანი -ით წარმოდგენილია -ა მავრცობით (-ითა), რომელიც არ იხმარება ზმნისართის ფორმებში. ეს გასაგებიცაა: -ა, როგორც განსაზღვრებითი ელემენტი მხოლოდ სახელს შეეფერებოდა, მას არ საჭიროებდა ზმნისართი (უთურგაძე, 2005: 257).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, შიდაქართლურ მეტყველებაში -ით სუფიქსიანი ზმნისართი ჩვეულებრივ დაირთავს -ა მავრცობ ხმოვანს.

ბ) თანდებულიანი: იმ **თავიდან** იმაჲ ვამბობდი, ბაჯაჯგუნა კაც არ გავყვები (ბროწლეთი)(მესხიშვილი, 2006:28); დაუბრუნდებიან **შემოდგომიდანა** თავის კარ-მიდამოსა (ფცა).

დროის ზმნისართი ვითარებით ბრუნვაში:

ა) უთანდებულო.

ზმნისართებთან ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული „დ“-ს ჟღერადობის დაკარგვა და „თ“-დ გადაქცევა ქართული დიალექტებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა (ფუტკარაძე, 2016 ბ:288). შიდაქართლურში ვითარებითში დასმული თითქმის ყველა ზმნისართის დაბოლოება „თ“ დაბოლოებით არის წარმოდგენილი. მაგ.: როცა ლობიო მოვკრეფამთ **უკანასკნელათ**, იმი მეტ რო აღარ მოისხამს, ვიტყვით, მოვსისნსლეო (ახალშენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:311); ჰქონიყო **სამუდამოთა** (ერედვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:368); **ძველათა** ახალ წელიწადი რო მოდიოდა, მანდილოსანი მაიტანდა ხილსა, ჩურჩხელასა, ხილსა, თხილი იქნებოდა, კაკალი და არაყ დალევდნენ იმაზედა, ეხლა ვილამ იცის ესე, ყველა გარეთ გარბის ახალწელსა (ატენი); **ძველათ** იყო ერთი თამაში სახელად ლახტი წრე (ზერტი).

ბ) თანდებულიანი (- მდინ// მდინა// მდისინ): ხან **შუაღამემდინ** გაიქონდა ბრაგაბრუგი დოლსა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 73); **როდემდინ** უნდა შეინახოს მამაშენმა შენი ცოლ-შვილი? (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:161);); რა გეგონა **სადნამდისინ** უნდა ყოფილიყავი იქა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:79); [ღამის მეხრეები] მუშაობენ

სადამომდინა“ (ბრეთი) (იმნაიშვილი, 1974 ბ:91); სადამომდინ ვერ მაიცდი? (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:81); როდემდინ უნდა იყოს ეგრე უცოლოთა (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:277); როდემდინა უნდა მატყუებდე, მოვალო (კეხვი); სადამდისინ უნა გელოდო? (ხიდისთავი).

მიმართულებითი ფორმით, ნაწილობრივ შეკვეციტ, იხმარება **მინამ** (←**მუნადმდე**) და **სანამ** (←**სადამდე**) ზმნისართები დასავლურ ქართლურში, რომლებიც -მდის თანდებულისა და ინ მარცვალდართული სახითაც დასტურდება: **მინამდისინ**, **სანამდისინ**. მაგ.: სანამ მოხვალ, დალამდება; მინამდისინ, დეკემბრამდინ არის ტყეში (ბგვ.); სანამდისინ კალო გაიმართებოდა (ჯორჯ.) (სალარიძე, 1978:65). მსგავსი ფორმები არც შიდაქართლური მეტყველებისთვის არის უცხო. მაგ.: რა ჯანდაბა დამაემინეფს, **სანამ** ილიას გზაზე არ დავაყენეფ! (რუსი) (მესხიშვილი, 2006:61); **სანამ** გავთხოვდებოდი, ნემსის ყუნწში გავეტეოდი (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 128); **სანამ** ეხალისებოდი, სათითაოთა ვკრეფდი თავთავეფს (თამარაშენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:296); მომიტანა კი არა ისა, მაგას **სანამ** კარებს არ აუტალახებ, **მინამ** არ მომცემს (დირბი).

არქაული ფორმითაა შემონახული **აქნამდი//აქნანი**, **იქნამდი//იქნანი**, **აქნობამდი//აქნობამდე**, **აქნობამდინა//აქნობამდისა//აქნობამდის**. მაგ.: არ ჩამოსულა **აქნობამდინა**; **იქნამდინ** არ ჩამოვიდა; **აქნობამდე** მაინც არ ჩაუტანა (დირბი).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება შეუკუმშავი ფორმა: „შენმან მზემან **აქნამდის** შენ ცოცხალი არ მეგონე“ (1296). **აქნამდი//აქნანი**, **იქნამდი//იქნანი**, **აქნობამდი//აქნობამდე** დასტურდება ჯავახურში (ბერიძე, 1988: 91); **აქნამდი**, **აქნობამდე**, **აქნობამდი** კახურსა (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956: 83, 85) და ზემოაჭარულში (ნიჭარაძე, 1957: 40). **აქანა//იქანა**, **აქნამდის** ჩვეულებრივ დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის (ჩიქობავა, 1938: 214-217).

როგორც ცნობილია, „-**დამ** თანდებული მიღებულია **დალმა** ზმნისართისაგან; ამ უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: **დალმა//დალმე** → **დამე** (//**დამა**) → **დამ**. ყველა ეს საფეხური ისტორიულად დასტურდება მეცამეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით); უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში შესაძლებელია -**დამ**-ი შეგვხვდეს **დალმა// დალმე**-ს ადგილას და, პირუკუ, მეთვრამეტე საუკუნეშიც აქა-იქ კიდევ ამოტივტივდება **ლ**-იანი სახე (დალმე), თუმცა გაბატონებული ვარიანტია -**დამ** (ჩიქობავა, 1937: 62-63). ამის მიზეზი თვით ქართლურსა და კახურში უნდა ვეძიოთ. ამ კილოებშიც გაქრობის გზაზე დგას -**დამ**. ამ მოვლენამ სათანადო ასახვა პოვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც, რადგანაც ყველაზე მეტად „ახალ სალიტერატურო ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება -ქართლური და კახური-ასაზრდოებს“ (ჩიქობავა, 1950: 18).

დალმა ზმნისართის სხვა სიტყვაზე დართვის შემთხვევებს ახლაც შეიძლება წავაწყდეთ ქართლურსა და კახურში. ქართლის სოფლებში (თორტიზა, ბნავისი, ფრონის ხეობა, ბორჯომის ხეობა ...) დადასტურებულია ზმნისართი **ჩამოდალმა**, რომელიც მნიშვნელობით დაახლოებით უდრის „**შემდეგ**“ ზმნისართს (ამის ჩამოდალმა წავიდნენ). ამავე ზმნისართს იყენებს სოფრომ მგალობლიშვილიც პერსონაჟთა მეტყველებაში. მაგ.: - თქვენ ღამის მეხრეები ხართ, გუთნისდედების **ჩამოდალმა** თქვენ ბევრს გიხნავენ (მგალობლიშვილი, 1951: 370; იმნაიშვილი, 1974 ა: 41).

დროის გამომხატველი ზმნისართები ზოგჯერ გვხვდება სახელობით ბრუნვაშიც. მაგ.: **სამი დღე და ღამე** გაუთავებლად წყალი ეგდო (ტახტისძირი). შდრ. **სამ დღესა და ღამეს**. **ორი წელიწადი** გაუძლო (ბრეთი). შდრ. **ორ წელიწადს**.

გორის მუნიციპალიტეტის, სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ზოგი ზმნისართი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობით ბრუნვაში. მაგ.: საიდან მოდიხარ **ამ დილაი** (=დილას); ამოიარე **სალამოი** (=სალამოს, **სალამოზე**). ეს ფორმები დამახასიათებელი აჭარულისათვის. ეს შემთხვევა სამეტყველო კოდთა გადართვაზე უნდა მიგვანიშნებდეს. განსაზღვრულ კომუნიკაციურ სიტუაციაში გადართვა ხდება როგორც ცალკეული სიტყვების, ისე წინადადებების. ვფიქრობთ, ეს პროცესი დაწყებულია. ამას ხელს უწყობს სოფელ წითელუბანში ქართლებსა და აჭარლების თანაცხოვრება (კობერიძე, 2015: 26).

ზოგიერთი (თ-ზე დასრულებული) ზმნისართი ბოლოში დაირთავს ი ხმოვანს (**დილითი, წინათი** (←წინათი), **საჩქართი, მაშინვეთი // მაშვეთი**), რაც ანალოგიითა და უნიფიცირების მიდრეკილებით უნდა აიხსნას. თ-ზე დაბოლოებული ზმნისართებისა, თუ ზმნისართული ფუნქციით გამოყენებული სახელების ი ხმოვანი გავრცობის მიდრეკილების მაუწყებელი უნდა იყოს სხვა დიალექტურ ერთეულებში დადასტურებული შემდეგ მაგალითებშიც: „მმაკაცობითი, ქრთამითი, მოხათრებითი“ (ნოზაძე, 1970:339); „ღამითი, წინათი, მაგრათი“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:70); „ნაჯახითი, თოფითი, ნიჩფითი..“ (ძოწენიძე, 1973: 148). „ეს ი, რომელსაც ემფატიკურს უწოდებენ, ზოგჯერ, დიადაც ემფატიკურ ა'ს ადგილას გვხვდება და თითქოს მისივე ფუნქციით გამოიყენება, ოღონდ აშკარა სხვაობა იმაშია, რომ ი თავისუფალია იმ პოზიციური შეზღუდვებისაგან, რაც ა'ს გამოიყენებას ახასიათებს“ (სარალიძე, 1978: 64).

მავრცობი ხმოვნის ფუნქციით ხშირია დროის ზმნისართებში -ი-ს დართვა: **დილითი** რა გააკეთოს, **სალამოთი** რა გააკეთოს (იგოეთი) (მესხიშვილი, 2006: 86); -რა დროს ჩამოხვედი? -**სალამოთი** (კარალეთი); **წინათი** ცალფრთიან კარს აკეთებდნენ ხომე (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:158); **წინათი** თელი ქალაქი იყო ხომე (წვერი) (მესხიშვილი, 2006:161); **წინათი** ძღვენ რო წაულებდნენ ვისმე, ცხრა-ცხრა უნდა დაეთვალათ (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:162); **წინათი** მეტისმეტი ბევრი იყო სოფელში ბეჩი ადამიანი, ეხლა ძნელათ შახვდები მაგისტანასა (თვალადი) (მესხიშვილი, 2006: 229); **წინათი** რომ კაკლები გვედგა გაღმა ვენახში, ისეთს ისხამდა ბორბონა კაკალსა(ერთაწმინდა) (მესხიშვილი, 2006: 31); **წინათი** ბერები და მოლოზნები ტყი ხილით გამოდიოდნენო (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:45); **წინათი** გამოსალტული კაბები იცოდნენ (რუისი) (მესხიშვილი, 2006:47); **წინათი** სუ შეულობავი იყო მამულები (ტირმნისი) (მესხიშვილი, 2006: 56); **წინათი** ჩვენი მეზობელი ბამშვები ისეთები იყვნენ (კავთისხევი); უთო სად იყო **წინათი** (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006:75); **წინათი** ესე ითვლიდნენ ხომე: ერთიანი, ორიანი, სამიანი... (რუისი) (მესხიშვილი, 2006:81); **წინათი** როგორი ვაიუბედურობით საიდან სად მოგვქონდა წყალი (ატენი); საქონლისათვის წყლის დასალევად, ცემენტისას აშენებენ ეხლა, ხისა იყო **წინათი** (საგურამო) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:371); **წინათი** რო ჩამოდიოდნენ ბერძნები, ქლიავზე ცვლიდნენ ატამსა (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 215).

ამავე დროს გვხვდება -ა მავრცობიანი ფორმაც: ახლა ქორწილი სულ სხვანაირი იციან, **წინათა** კიდევ უფრო ბევრი ტრადიციები იყო დაკავშირებული ქორწილთანა. მაგალითად, **წინათა** ქორწილში ცხვებოდა ჯვრის პური, რომელსაცა ჯვრის ფორმა ქონდა (კირბალი); ორმო იცოდნენ **წინათა**, ჭირნახულს ინახავდნენ (არადეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 338); **წინათა** არც სარეცხის საშუალებები ყოფილა და არც შამპონები (კირბალი); დიდი ტახტები რო იყო **წინათა**, იმაზე ეფინათა იანის ნალი (მეჯვრისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 226).

-ა მავრცობი გვხვდება დროის ზმნისართებთან მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში. მის ხმარებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში მოუღის იმ სიტყვას, რომლის შემდეგ პაუზა ან კავშირი. ამ დროს მავრცობი

(ემფატიკური) ა მახვილის მატარებელია (ზურაბიშვილი, 1956: 228-232; ბერიძე, 1988: 79-80; კობერიძე, 2019: 75).

დროის ზმნისართებში -ა მავრცობი ხმოვანი მთქმელის მიერ დასახელებული დროის აქცენტირების მიზნით უნდა იყოს გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში -ა და -ი ერთნაირ ოდენობას უნდა წარმოადგენდეს, ზოგ შემთხვევაში კი ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას (კობერიძე, 2020: 92-94).

შიდაქართლურ მეტყველებაში დროის ზმნისართების მისაღებად გამოიყენება ფუძის გაორკეცება, სხვადასხვა ფუძეების შეერთება, ან სხვადასხვა სიტყვების შეერთება. ფუძის გაორკეცებით წარმოქმნილი ზმნისართებიდან აღსანიშნავია: **წინდაწინ //წინდაწინა, წამდაუწამ/წამდაუწამა(←წამდაუწამ), წუთიწუთს//წუთიწუთსა, დროდადრო, ეხლადაეხლა...** მაგ.: მახრობელი მოდის **წინდაწინა**, შემდეგ მოსდევს ნეფიანი (ტახტისძირი); **წინდაწინ** გავაკეთებდით პურიდედასა და დაველოდებოდით აღვივებასა (დირბი); საარაყესა **დროდადრო** უნდა ურიო დასადუღებლათა (ტახტისძირი); ლოქაბიძიანთ ბიჭი ჩამოუქროლებს **წამდაუწამა** მანქანითა (დვანი); **წუთიწუთს** მოველოდით სახლის დაწვასა (ტახტისძირი); გამოვასწარით **წუთიწუთსა** და დაიწყო ომი კიდეცა (მარწემი); **ეხლადაეხლა** წამოვიდა კაი ცხოვრება (ატენი).

სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტიური ზმნისართებიდან ხშირად გამოიყენება: **ერთხან, ერთხელ// ერთხელა** (=როდისმე, ერთ დროს), **ერთავათ//ერთავათა** (←ერთავად= გამუდმებით, მუდმივად), **დილაადრიან//დილაადრიანა...** მაგ.: საღამოს წავადედედბდი პური ცომსა, ამოვიღებდი ქილიდანა და ამ დილით მოვხელამდი ასე ორჯამიანის ოდენა ცომსა **დილაადრიანა** ორი თონე რო გამოსულიყო (ატენი); წადედეებული ცომით **დილაადრიანა** მოვხელამდით დიდ ცომსა (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006: 164); **ერთავათ** ჟვეპავდა და ცემდა ქმარი (დირბი); აწვიმს და ათოვს **ერთავათა** (ბრეთი); „დავიჭერ **ერთხელ** (= როდისმე) და ვაჩვენებ სეირსა (ტახტისძირი); **როდის ერთხელ?** ნეტავ როდის?**როდის ერთხელა** ყოფილხარ ჩვენსა? (კარალეთი); **როდის ერთხელ** გითხარი, მომეხმარე -მეთქი ? (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 358).

კომპოზიტის მეორე ნაწილად გამოიყენება „ხანა“, „ხანი“, „ხანია“: **როდისხანია** ერთი ჩანახი სიმინდი მართებთ ისამიანთა (მესხიშვილი, 206:91); ი ტყუპები რო ჰყავ ხო დადიან **რაცხანია**, ახლა ენა აუდგამთ ისეთები არიან... (იგუეთი) (მესხიშვილი, 2006:74); ეგენი **როდისხანია** ბანაობენ (ქემფერი); **როდისხანია** მოვიდნენ ბავშვები (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 358).

დროს გამოხატავს ზმნისართები: **კაი ხანი (←კარგა ხანი)**: ხო, ქალო, **კაი ხანია** უკვე დავთესეთ (კირბალი). **ამდენი ხანი:ამდენი ხანი** იცადა, ცოლ არ ირთამდა (მერეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:442); **ცოტა ხანი** იხალისებს საქმესა (ტირმნისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:204); **ცოტა ხან** მაცალე და მერე მე ვიცი (სალოლაშენი).

კომპოზიტის მეორე ნაწილად გვხვდება „წინ“ ზმნისართი: **შარშანწინ// შარშანწინა** (=შარშანდელი წლის შემდეგ): **შარშანწინ** მოხდა ეგ ამბავი, რატომა გაიხსენა წელსა (დირბი); ჩაბარდა პატრონსა **შარშანწინა** (არადეთი). **ამასწინა//ამისწინა**: **ამასწინათ** რომ დაგირეკნია დუროთვინა (კეხვი); **ამისწინა** ისე წაგვექცა, ორთავე მუხლი გადაუყვლეფია (კეხვი).

წინა ზმნისართის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე წარ პრევერბის დართვით მიღებული ზმნისართი წინადასწარ (შალამბერიძე, 1959: 50). გვხვდება **წინასწარ // წინასწარა** ფორმით. მაგ.: **წინასწარა** ჩაუთვალა ასი თუმანი ამ საწყალმა ბიჭმა (ტახტისძირი); ძველათა **წინასწარ** იცოდნენ რაიმე ნივთით ქალის დაბევებაი (დვანი).

ქემერტისა და ატენის მცხოვრებთა მეტყველებაში დასტურდება ძველი ქართული ენის

ისტორიიდან ცნობილი მნიშვნელობის გადაწევის საინტერესო ფაქტი (ჩიქობავა, 1945:485-493). ზოგი ადგილის ზმნისართი (**არსად, ვერსად, აღარსად, ველარსად, სადმე**) დროის (**როდესმე, არასოდეს, აღარასოდეს, ვერასოდეს, როდისმე**) აღმნიშვნელადაც იხმარება. მაგ.: ასეთ სიციხეები კულავ **არსად (=არასოდეს)** ყოფილა (ქემერტი); თბილისში (ეკლესიაში) იყო **სადმე (=როდისმე)?** (ქემერტი); ალაპარაკე **სადმე** (= როდისმე) შენა, ეგ ისეთი ვეჭილია (ატენი); ოლონდ მოიყვანე **სადმე** (= როდისმე) ჩვენს მეთქი (ქემერტი); **არსად** (= **არასოდეს**) დაუღევნია ღვინოი სულ არა (ატენი); ნეტა ერთხელ წავიდე **სადმე** (= როდისმე) მაგ.: ბოშურში (ნოზაძე, 1970: 343, 344). ეს შემთხვევები არც სხვა ხეობისათვის არის უცხო. მაგ.: დავიჭერ **სადმე (=როდისმე)** (ტახტისძირი); წაიღო ჩემი ფული და **ველარსად (=ვერასოდეს)** მომიტანს (დირბი) (კობერიძე, 2020: 86).

როდესაც // როდისაც დროის ზმნისართი სოფელ ღვარებში გვხვდება **როისაც //როესაც // როიცა** ფორმით. მაგ.: **როისაც** წავიდნენ, კარებები დაჰკეტეს; **როისაც** მოვიდა, მენახშირეს უთხრა ჩემი ოქროს ზოდი წაიღეო; **როესაც** ვაჟი წავიდა, ქალს მუცლი ტკვილიმა წამოუარა..; **როესაც** მოვიდნენ იმ ხელმწიფის კარზე . ზოგჯერ მოკვეცილია -ც (ა) (კახაძე, 1953: 273).

საკვლევ ობიექტში დროის ზმნისართი ფორმისა და ფუნქციის მიხედვით ზოგჯერ თავისებურებებს ავლენს. ლიახვის ხეობაში „**ერთიხანობა**“ იხმარება „პირველად“, „ერთხანს“ დროის ზმნიზედების მნიშვნელობით. მაგ.: **ერთიხანობა** დავაპირე წასვლა (სომხიშვილი, 2002: 36).

გვხვდება **ამწამ/ამწამა** (=ამ წუთს, უმალ, ერთ წამში) ფორმები: წამოიღე **ამწამა**; **ამწამ** აირბენს სერსა (ტახტისძირი). ჯავახურში გვხვდება **ერწამალ, ერთწამალ//ერთწამახან** (ერთ-წამან-ი), რომელიც ცვლის უმალ, ერთ წამში ზმნიზედებს: მაიცადე, მე ერთწამალ მოვა; ერთწამალა გავშალეთ სუფრა; **ერწამახან** მივალ და მოვალ (ბერიძე, 1988: 92). ერთწამალა ფორმა იხმარება აჭარულში (ნიჟარაძე, 1971: 192); **ერწამა** იხმარება გურულში (ყდენტი, 1936: 95).

ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართლურისათვის ზმნა-შემასმენლის მრავალგზისობის ნიუანსის გამოსახატავად ხშირად გვხვდება დროის ზმნისართების გამეორება წინადადებაში. მაგ.: **დღეს** უთხრა, ხვალ უთხრა, **ზეგ** უთხრა, შააღონა ქალმა თავის ქმარი (სომხიშვილი, 2002: 52).

მერმესთან ერთად გვხვდება „**მუდამდღე**“: **მუდამდღე** ტირილი და ვარამი კარგათ არ წაადგება ოჯახსა (ტახტისძირი); **მუდამდღე** ბარგაკიდებული დადის საწყალი (ფცა).

ხშირად გამოიყენება -იან სუფიქსიანი დროის ზმნისართი: ხვალ **ადრიანათა** შამოუმალთ კალოსა (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:29); **დილაადრიანათა** წამოყრიან ბავშვებსა (ტახტისძირი).

დასკვნა

ამრიგად, დროსა და სივრცეში დაშორებული დიალექტური მასალების ქრონოლოგიური შესწავლა გვამღევს საშუალებას, რომ დავასკვნათ: 1. დროის ზმნისართების წარმოება, სტრუქტურა და ფუნქცია შიდაქართლურში მსგავსია ქართული სალიტერატურო ენის, ქართლურის სხვა კილოკავებისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა, ხოლო განსხვავებული შემთხვევები მიუთითებს იმ პროცესებზე, რომელიც ქართლური დიალექტისათვის არის ნიშანდობლივი. 2. დასტურდება პირველადი ან საკუთარი წარმოების, ბრუნვის ფორმით (ბრუნვის ნიშნით ან თანდებულთ), თხზვა-

კომპოზიციითა და ნაწილაკების დართვით წარმოქმნილი დროის ზმნისართები. 3. განსხვავებული მოვლენები განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით. 4. ქართლურისა და აჭარულის სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევებზე მიუთითებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში დადასტურებული სახელობითი ბრუნვის ნიშნის დროის გამომხატველი ზმნისართები. 5. არქაული ფორმითაა შემონახული დროის ზმნისართები: **აქნამდი//აქნანდი, იქნამდი//იქნანდი, აქნობამდი//აქნობამდე, აქნობამდინ//აქნობამდის.** „შემდეგ“ დროის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება თავისებური წარმოების ზმნისართი „ჩამოდაღმა“. ზოგი ადგილის ზმნისართი (არსად, ვერსად, აღარსად, ვეღარსად, სადმე..) იხმარება **დროის ზმნისართების (როდესმე, არასოდეს, აღარასოდეს, ვერასოდეს, როდისმე..)** აღმნიშვნელად.

6. -ა და - ი მავრცობიანი დროის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია აქცენტირება. ეს ხმოვნები თ-ზე დაბოლოებულ დროის ზმნისართებში ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან და ერთნაირ ოდენობას წაროადგენენ (წინათა-წინათი, დილითა-დილითი), ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას.

7. ზოგი დროის ზმნისართი ერთდროულად გვიჩვენებს ნათესაობითისა და მიცემითის ფორმებს: **გოგობისას, ბავშობისას.** ზოგიერთი თანდებული ან ზმნისართი შიდაქართლურში მართავს მიცემით ბრუნვას ნათესაობითის ნაცვლად : **ორ საათს უკან** (← ორი საათის უკან) ; **ამას წინ** (=ამის წინ) ; **დღესთვინა** (←დღისთვინ) . მიცემითში დასმულ დროის ზმნისართს ხშირად დაერთვის „აქეთი// აქეთი// აქეთია“ ზმნისართი (**დილას აქეთი, საღამოს აქეთია, გუშინ აქეთი**). ზმნა-შემასმენლის მრავალგზისობის ნიუანსის გამოსახატავად ხშირად გვხვდება დროის ზმნისართების გამეორება წინადადებაში (**დღეს უთხრა, ხვალ უთხრა, ზეგ უთხრა**).

8. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი ეთნიკურად არ არის ერთფეროვანი, არ დასტურდება სხვა ენობრივ ერთეულებთან კონტაქტით გამოწვეული ენობრივი ცვლილებები.

გამოყენებული ლიტერატურა

- abuladze, i. (1986). drois semantik'uri veils shesakheb. *iberiul-k'avkasiuri enat'mecniereba*. ტ. XXV. tbilisi. (აბულაძე, ი. (1986). დროის სემანტიკური ველის შესახებ. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. 25. თბილისი).
- ant'oni, I. (1885). *kartuli ghrammat'ik'a*. tbilisi. (ანტონი, I. (1885). *ქართული დრამმატიკა*. თბილისი).
- apridonidze, sh. (1984). tandebulad gamoq'enebuli zogi zmnisartis erti punqciisatvis. *kartuli sit'q'vis k'ult'uris sak'itkhebi*. ტ.6. tbilisi (აფრიდონიძე, შ. (1984). თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. ტ. 6. თბილისი).

- benashvili, a. (1894). *kartuli ghramat'ik'a*. tbilisi. (ბენაშვილი, ა. (1894). *ქართული გრამატიკა*. თბილისი.).
- beridze, gr. (1988). *kartuli enis javakhuri k'ilo*. tbilisi: gamomtsemloba „sabh'ota sakartvelo“. (ბერიძე, გრ. (1988). *ქართული ენის ჯავახური კილო*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.).
- berozashvili, t. meskhishvili, m. nozadze, l. (1981). *kartluri dialekt'is leksik'oni (masalebi)*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ (ბეროზაშვილი, თ. მესხიშვილი, მ. ნოზაძე, ლ. (1981). *ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები)*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- gabueri, b. (1923-1924). *khevsuruli masalebi. „ts'elits'deuli“*. ტ. 1-11. tbilisi. (გაბუერი, ბ. (1923-1924). *ხევსურული მასალები. „წელიწადეული“*. ტ.1-11. თბილისი).
- gabunia, k. (1993). *zmnisartis ts'armoeba da punktisebi kartvelur enebshi*. tbilisi: gamomtsemloba „saimedo“. (გაბუნია, კ. (1993). *ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში*. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“).
- gabunia, k. (2019). *sivrtsuli da droiti mimartebebis amsaxveli zmnisartebisatvis qartulshi*. (გაბუნია, კ. (2019). *სივრცული და დროითი მიმართებების ამსახველი ზმნისართებისათვის ქართულში*. <http://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/02/Gabunia-K. 10Tomi 279-287gv. opt.pdf> (18.09.2020).
- gachechiladze, p'. (1970). *kartluris saleksik'ono masala. iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba. t'. XXVII*, tbilisi. (გაჩეჩილაძე, პ. (1970). *ქართლურის სალექსიკონო მასალა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. XVII. თბილისი).
- dadiani, e. (2019). *sivrtsuli da droiti mimartebebis amghnishveli zmnisartebi t'aoel kartvelta met'q'velebash. kartveluri memkvidreoba. t'. XXIII. k'utaisi*. (დადიანი, ე. (2019). *სივრცული და დროითი მიმართების აღმნიშვნელი ზმნისართები ტაოელ ქართველთა მეტყველებაში. ქართველური მემკვიდრეობა*. ტ. XXIII. ქუთაისი).
- dodashvili, s. (1830). *kartuli ghramat'ik'a*. tbilisi. (დოდაშვილი, ს. (1830). *ქართული ღრამმატიკა*. თბილისი.).
- zurabishvili. t. (1956). *emfat'ikuri -a axal k'artulshi. sakhelta brunebis istoriisatvis k'artvelur enebshi. ts'igni 1*.tbilisi. (ზურაბიშვილი, თ. (1956). *ემფატიკური -ა ახალ ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. წიგნი 1. თბილისი).
- zurabishvili. t. (1972). *mavrtsobi a tanamedrove saliterat'uro kartulshi. kartuli sit'q'vis kult'uris sakitxebi. t'.I*. tbilisi. (ზურაბიშვილი, თ. (1972). *მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. ტ. I. თბილისი).
- imnaishvili, gr. (1974). a. *kartluri dialekt'i. t'.I*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (იმნაიშვილი, გრ. (1974). ა. *ქართლური დიალექტი*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

- imnaishvili, gr. (1974). b. *kartluri dialekt'i*, II. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (იმნაიშვილი, გრ. (1974). ბ. *ქართლური დიალექტი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება).
- ioseliani, p'. (1840). *p'irueil- dats'q'ebitni k'anonni ghrammatikisa*. tpilisi. (ოსელიანი, პ. (1840). *პირჯღლ-დაწყებითი კანონნი ღრამმატიკისა*. თფილისი.).
- k'arichashvili, d. (1930). *k'artuli enis gramat'ika*. tbilisi. (კარიჭაშვილი, დ. (1930). *ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი.).
- k'akhadze, o. (1953). at'enisa da ts'edisis kheobis kartlurshi. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba*. t'. IV. tbilisi. (კახაძე, ო. (1953). ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. IV. თბილისი).
- k'elenjeridze, m. (1920). *k'artluri prak't'ik'uli gramat'ika*. k'utaisi. (კელენჯერიძე, მ. (1920). *ქართული პრაქტიკული გრამატიკა*. ქუთაისი).
- k'vach'adze, l. (2001) . *kartuli ena*. tbilisi: gamomtsemloba „rubikoni“. (კვაჭაძე, ლ. (2001). *ქართული ენა*. თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“).
- kvitsaridze, p'. (1888). *k'artuli sts'ormetq'veleba*. tbilisi. (კვიციანიძე, პ. (1888). *ქართული სწორმეტყველება*. თბილისი).
- k'oberidze, m. (2006). zogi zmnizedis pormisa da punktisiatvis prones kheobis kartlurshi. *saenatmetsniero dziebani*. t'. XXII. tbilisi. (კობერიძე, მ. (2006). ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. *საენათმეცნიერო ძიებანი*. ტ. XXII. თბილისი).
- k'oberidze, m. (2015). k'artlurisa da ach'arulis urtiertmimartebisatvis sopol ts'itelubnis metyvelebash. *XXXV resp'ublikuri dialekt'ologiuri sametsniero sesiis masalebi*. tbilisi. (კობერიძე, მ. (2015). ქართლურისა და აჭარულის ურიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში. *XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. თბილისი.).
- k'oberidze, m. (2019). mavrtsobi khmovnebi kartlurshi. *ts'elits'deuli*. t'. XI. kutaisi. (კობერიძე, მ. (2019). მავრცობი ხმოვნები ქართლურში. *წელიწადული*. ტ. XI. ქუთაისი.).
- k'oberidze, m. (2020). adgilis zmnisartebi shidakartlurshi. *resp'ublikuri dialekt'ologiuri sametsniero sesiis masalebi*. ტ. XL. tbilisi. (კობერიძე, მ. (2020). ადგილის ზმნისართები შიდაქართლურში. *რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. ტ. XL. თბილისი.).
- martirosovi, ar. (1946). tandebuli kartulshi. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba*. t'.I. tbilisi. (მარტიროსოვი, არ. (1946). თანდებული ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. I. თბილისი.).

- martirosovi, ar. imnaishvili, gr. (1956). *kartuli enis k'akhuri dialekti (gamok'vleva da t'ekst'ebi leksik'oniturt)*. tbilisi: gamomtsemloba „sakartveloc metsnierebata akademias“. (მარტიროსოვი, არ. იმნაიშვილი, გრ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“.).
- meskhishvili, m. (2006). *kartluri leqsikoni (masalebi)*. tbilisi: gamomtsemloba „universali“. (მესხიშვილი, მ. (2006). *ქართლური ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.).
- mgaloblishvili, s. (1951. *rcheuli motkhroebi*. tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami“. (მგალობლიშვილი, ს. (1951). *რჩეული მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.).
- nizharadze, sh. (1957). *zemoach'arulis taviseburebani*. gamokvleva da t'ekst'ebi leksikoniturt. batumi. (ნიჟარაძე, შ. (1957). *ზემოაჭარულის თავისებურებანი*. გამოკვლევა და ლექსიკონითურთ. ბათუმი.).
- nizharadze, sh. (1971). *kartuli enis ach'aruli dialekti (leksik'a)*. batumi. (ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა)*. ბათუმი.).
- nozadze, l. (1970). *kartluri dialektis masalebi. iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba*. t'. XXVII, tbilisi. (ნოზაძე, ლ. (1970). *ქართლური დიალექტური მასალები. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. XVII. თბილისი).
- nikolaishvili, i (1929). *kartuli enis gramat'ika*. tbilisi. (ნიკოლაიშვილი, ი. (1929). *ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი.).
- oniani, al. (1989). *kartvelur enata shedarebiti gramat'ikis sakitxebi*. tbilisi: gamomtsemloba „ganatleba“. (ონიანი, ალ. (1989). *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.).
- orbekiani, s. s. (1991). *leksik'oni kartuli*. t'. I. tbilisi: gamomtsemloba „merani“. (ორბელიანი, ს.ს. (1991). *ლექსიკონი ქართული*. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.).
- zhordania, t. (1889). *kartuli grammat'ika*. t'pilis. (ჯორდანია, თ. (1889). *ქართული გრამმატიკა*. ტფილისი.).
- zhghenti, s. (1936). *guruli k'ilo* (gamokvleva, t'ekst'ebi, leksikoni). t'pilis. (ჯღენტის, ს. (1936). *გურული კილო* (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი). ტფილისი.).
- rektor, g. (1970). *kartuli grammat'ika*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (რექტორი, გ. (1970). *ქართული ღრამმატიკა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.).
- salaridze, t. (1978). *algetis kheobis kartluri*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (სალარიძე, თ. (1978). *ალგეთის ხეობის ქართლური*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.).
- sikharulidze, i. (1935). *kartuli enis gramatik'a: morfologia da sint'aksi*. sakhelmdzghvanelo sashualo sk'olis V-VI- VII k'lasebisatvis. t'pilis: „sakhelmts'ipo gamomtsemloba“ (სიხარულიძე,

- ო. (1935). *ქართული ენის გრამატიკა: მორფოლოგია და სინტაქსი*. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V-VI- VII კლასებისათვის. ტფილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“).
- somkhisvili, v. (2002). *liakhvisa da ksnis kheobata kartluri*. avt'oreperati. tbilisi. (სომხიშვილი, ვ. (2002). *ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლური*. ავტორეფერატი. თბილისი.).
- uturgaidze, t. (1986). *kartuli enis sakhelis morponologiuri analizi*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (უთურგაიძე, თ. (1986). *ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
- uturgaidze, t. (2005). zmnisartebi -it supiqsit. *kartvelur enata st'rukturis sakitxebi*. t. IX. tbilisi: gamomtsemloba „kartuli ena“. (უთურგაიძე, თ. (2005). *ზმნისართები -ით სუფიქსით. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.).
- paghava, m. makaradze, e. diasamidze, r. tandilava, l. (2005). t'aouri met'q'velebis nimushebi. *batumis universit'etis krebuli*. t'. IV. batumi. (ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. მაკარაძე, ე. დიასამიძე, რ. თანდილაშვილი, ლ. (2005). *ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბათუმის უნივერსიტეტის კრებული*. ტ. IV. ბათუმი.).
- piralovi, g. (1820). *tuit masts'avlebeli*. sankt'-p'et'erburghi. (ფირალოვი, გ. (1820). *თვთ მასწავლებელი*. სანკტ-პეტერბურლი.).
- put'karadze, sh. (1993). *chveneburebis kartuli*. ts'igni p'irveli. batumi: gamomtsemloba „ach'aris zhurnal-gazetebi “. (ფუტყარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. წიგნი პირველი. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარის ჟურნალ-გაზეთები“).
- put'karadze, sh. (2016). *chveneburebis kartuli*. ts'igni p'irveli. batumi: gamomtsemloba „achara“. (ფუტყარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული*. წიგნი მეორე. ბათუმი. გამომცემლობა: „აჭარა“).
- kutateladze, ar. (1894). *p'irvel-dats'q'ebiti kartuli gramatika*. t'pilis . (ქუთათელაძე, არ. (1894). *პირველ - დაწყებითი ქართული გრამატიკა*. ტფილისი.).
- ghlont'I, al. (1980). n-s p'rotsesi dirbulshi. *pilologis chanats'erebi*. tbilisi: gamomtsemloba „sabh'ota sakartvelo“ (ღლონტი, ალ. (1980). *ნ-ს პროცესი დირბულში. ფილოლოგიის ჩანაწერები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.).
- q'ipiani, d. (1882). *akhali kartuli gramatika*. sank't'-p'et'erburghi. (ყიფიანი, დ. (1882). *ახალი ქართული გრამატიკა*. სანკტ-პეტერბურლი).
- shalamberidze, g. (1959). zmnisarti dzvel kartul enashi. *kartvelur enata st'rukt'uris sak'itkhebi*. t'. I. tbilisi. (შალამბერიძე, გ. (1959). *ზმნისართი ძველ ქართულ ენაში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. ტ. I. თბილისი).

- shandidze, a. (1980). *kartuli enis gramat'ik'is sapudzvlebi*. txkhulebani. t'. III, tbilisi: gamomtsemloba „tbilisis universit'eti“. (შანიძე, ა. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თხზულებანი. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“).
- shanshovani, z. (1737). *mokle ghramatika kartulisa enisa*. sankt-p'eterburgi. (შანშოვანი, ზ. (1737). *მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა*. სანკტ-პეტერბურგი).
- chikobava, arn. (1937). erti utsnobi tandebuli akhal kartulshi. *enimk'is moambe*. t'. 1. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1937). ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში. *ენიკის მოამბე*. ტ. 1. თბილისი).
- chikobava, arn. (1938). dialekt'izm'is sak'itkhisatvis „vepkhistq'aosansi“. *enimk'is moambe*. t'. 3. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1938). დიალექტიზმის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. *ენიკის მოამბე*. ტ. 3. თბილისი).
- chikobava, arn. (1940). *gramatikis agebulebis dziritadi sakitkhebi*. I. II. sskr'. Metsnierebata ak'ademiis sakartvelos pilialis moambe. t'.I.#2. #3. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1940). *გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები*. I. II. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე. ტ. I.#2. #3. თბილისი).
- chikobava, arn. (1945). zogi sit'q'vis mnishvnelobis ganvitarebisatvis dzvel kartulshi (sivrcisa da drois moment'ta urtiertobis aspeqtsi). *psikologiis institutis shromebi*. t'.3. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1945). ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში). *ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები*. ტ. III. თბილისი.).
- chikobava, arn. (1946). mravlobitis aghnishvnis dziritadi p'rintsipebisatvis kartuli zmnis ughvlilebis sistemashi. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba*. t'. I. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1946). მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. ტ. I. თბილისი.)
- chikobava, arn. (1950). kartuli enis zogadi dakhasiateba. *kartuli enis ganmart'ebiti leksikoni*. t'. I. tbilisi: gamomtsemloba „sakartvelos metsnierebata ak'ademia“. (ჩიქობავა, არნ. (1950). ქართული ენის ზოგადი დახასიათება. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“).
- chikobava, arn. (1952). *enatmetsnierebis shesavali*. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (1952). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი.).
- chikobava, arn. (2010). mimartulebiti brunvis mnishvnelobisa, ts'armoebisa da istoriisatvis. *shromebi*. t'.II. tbilisi. (ჩიქობავა, არნ. (2010). მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. *შრომები*. ტ. II. თბილისი).
- tsintsadze, m. paghava, m. baramidze m. (2017). t'aouri t'ekstebi.. *batumis shota rustavelis sakhelmts'ifo universit'etis humanitarul metsnierebata pak'ultetis kartvelologiis tsentris k'rebuli*. t.' II. batumi. (ცინცაძე, მ. ფაღავა, მ. ბარამიძე, მ. ტაოური ტექსტები. *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ*

მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული. ტ. II. ბათუმი).

dzots'enidze, k. (1973). *zemoimeruli k'ilok'avi*. tbilisi. (ძოწენიძე, კ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.)

janashvili, m. (1906). *kartuli gramatika*. tbilisi. (ჯანაშვილი, მ. (1906). *ქართული გრამატიკა*. თბილისი).

khundadze, s. (1915). *kartuli gramatika*. kutaisi. (ხუნდაძე, ს. (1915). *ქართული გრამატიკა*. ქუთაისი).

Март. Н. (1925). *Грамматика древнелитературного языка*. Ленинград.